



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



ბრძანება: **ბ92.92221852**

თარიღი: **04/07/2022**

მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ქონების უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, თხოვნების ფორმით ა(ა)იპ „ლაგოდეხის სერვის ცენტრზე“ გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“, „დ.დ“ , 122-ე მუხლის პირველი ნაწილის "ე" ქვეპუნქტის, მე-6 პუნქტის, "მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669-ე დადგენილების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტის მე-5 პუნქტის, 24-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და "ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 01 ივლისის N გ-93.93221822 განკარგულების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

მუხლი 1. გადაეცეს უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვნების ფორმით, ა(ა)იპ „ლაგოდეხის სერვის ცენტრს“ (ს/კ:433105659) არსებობის ვადით, მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ქონება - სატრანსპორტო საშუალება RENAULT DUSTER - მაღალი გამავლობის ნომერი CC 929 DD.

/საფუძველი: ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის "ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსის (დროებით მოვალეობის შემსრულებელი) ა/წლის 04 ივლისის N06-922218548 მოხსენებითი ბარათი/.

მუხლი 2. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის ეს ბრძანება უთანაბრდება მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ ხელშეკრულებას, დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობისთანავე.

მუხლი 3. ბრძანების აღსრულებაზე კონტროლი დაევალოს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის "ეკონომიკის სამსახურს".

მუხლი 4. ბრძანება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე;

მუხლი 5. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, შემდეგ მისამართზე: ქ.გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

ჯონდო მდივნიშვილი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

